საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კვირიკე

კვირიკე, XI ს. I ნახევრის მშენებელი ოსტატი, ზემო კრიხის ეკლესიის (ქვემო რაჭა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) კარიბჭის მშენებელი. სამხრ. სარკმლის სათაურის მარჯვნივ მოთავსებული იყო ქვა ნუსხახუცური წარწერით, სადაც მოიხსენიებოდა **კ.** კარიბჭე, რ-იც შემკული იყო ფრიად მდიდრული ჩუქურთმებით, XI ს. I ნახევრის ქართ. ხუროთმოძღვრული დეკორის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენდა.

ეკლესია დაინგრა 1991 მიწისძვრის შედეგად, აღდგენილია 2008–09.

ლიტ.: ბ ე რ ი ძ ე ვ., ძველი ქართველი ოსტატები, თბ., 1967.